


06  
1912 / 4



გეოგრაფიკული კვლევა

№ 3



ფასი 10 კაპ.



No 3

30 ენკენისთვე 1912 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.—5 მან. ამა 1912 წლ. დამლევამდე—1 მან, 50 კაპ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაე-ომობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ-

იური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

სამაქართო: თბილისი, გაბაევსკიი პერ. №3 რედაქცია „კლდე“. დებეშისა: თბილისი კლდე.

ქართული სოფელი დაჩაგრულია, ღარიბია. ქართველი გლეხი უპატრონოა! გაისმის ხშირად ჩვენში. და ამიტომ, როცა ვოცნებობთ ქართულ სოფლის აღორძინებაზედ, ძალა უნებურად გვებადება ერთი საყურადღებო საკითხი: ვინ უნდა იყოს ჩვენი სოფლის მშველელი, ვინ უნდა იყოს მისი პატრონი-წინამძღოლი და ხალხის ახალ კულტურულ-ეკონომიურ ბუდეების მომწყობი, ვინ უნდა აამოძრავოს გლეხის ბეჯითი თვითმოქმედება?

ამ კითხვებზედ სხვა ჩვენისთანა პატარა, მაგრამ განათლებული და კიდევ გამოცდილი ერები აი რას გვეუბნებიან: „შეიძლება დანამდვილებით ითქვას,—ამბობდა რუმინის მოღვაწე ს. კუჟბო, ერთ ერთ კოოპერატიულ მოღვაწეთა კრებაზედ,—რომ რუმინის სოფლის ეკონომიურ-კულტურული აღორძინება შედეგია რუმინთა სოფლის მასწავლებლების და მღვდლების საუცხოო მუშაობისა“.

„პოლონეთის სოფლის ცხოვრების მომწყობი და ხელმძღვანელი—სწერს პოლონელი მწერალი კ. ხრანევიჩი—უმეტეს შემთხვევაში სოფლის ინტელიგენცია არის: კსიონდზი (მღვდელი), ექიმი, მასწავლებელი, განათლებული მემამულე, მეთათიაქე და სხვა. მათში უფრო თვალსაჩინო ადგილი

უჭირავს თავის მედგარ მოღვაწეობით კსიონდზსა“.

ბევრი სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ უამისოდაც ნათლად სჩანს, რომ, საზოგადოთ, გლეხთა კულტურულ-ეკონომიურ წინმსვლელობას ყოველთვის და ყველგან სათავეში უდგას სოფლის ინტელიგენცია. არც საკვირველია ესა, რადგან უკანასკნელი მჭიდროდ გადაბმულია სოფლის ცხოვრებასთან, მის ჭირ-ვარამთან და შეიძლება აქვს ღრმად ჩაიხედოს გლეხთა პსიხოლოგიაში. ამიტომაც, რომ მის ხელშია უმეტეს შემთხვევაში ხალხის ბედ-იბაღი. მისი ავ-კარგიანობა უსათუოდ ხალხის ცხოვრებას ემჩნევა და დიდ კვალსაცა სტოვებს. მაგალითი ჩვენი სოფლის ცხოვრებაა.

რას წარმოადგენს დღეს ჩვენი სოფლის მასწავლებელი, მღვდელი, ექიმი, მემამულე, როგორც ხალხის მამოძრავებელი ძალა?

ქართველი მასწავლებელი—უმეტეს შემთხვევაში სწყევლის თავის ბედს და სულ იმის ფიქრშია როგორმე წყეულ სოფლიდამ ქალაქში გადაცოცდეს.

მღვდელი?... ქართველი მღვდელი! ის ხომ არც კი სჩანს სადმე სოფლის საზოგადო ცხოვრებაში. რასაკვირველია უსათუოდ გამოჩნდება დრამების მოსაკრეფად, ან სიკვდილ-ქელებების მოლოდინში.

მაშინ, როდესაც რასმეს ხედავს გამო-  
სარჩენსა, თორემ სხვაფრივ არსად გამოდის  
არც „სულიერ მამად“, არც მაგალითის მა-  
ჩვენებლად.

ქართველი ექიმი?

ცარიელია ადგილი მისი „მოდვაწეობი-  
სა“ სოფლად.

მემამულე? აქამდის ჰარიჰარალაღე, მრავალ  
ჟამიერ! არც თავისთვის არც სხვის-  
თვის. ან სადა გვყვანან განათლებული მე-  
მამულენი?

იქნება ეს დახასიათება სასტიკიც იყოს,  
იქნება ჩვენ პესნიმისტურ გრძნობებმა გაგვი-  
ტაცეს, ჩვენი სინამდვილე ამას გვიკარნახებს.  
ეხლანდელ ქართულ სოფლის ცხოვრებას თუ  
დააკვირდებით იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ  
უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ინტელიგენცია  
არამც თუ სოფელს არ ეკარება და ქალაქს  
ეტანება, არამედ როცა ბედი ძალაუნებუ-  
რად სოფელში ჩააგდებს, მაშინაც გარე გარე  
უფლის ყოველს მის სულისკვეთებასა, მაგრამ  
ამასთან, არ შეიძლება თვალი მოვარიდოთ იმ  
ცოტაოდენ სოფლის მოღვაწეებზედ, რომ-  
ლებმაც ექა-იქ, საქართველოს სხვა და სხვა  
მიყრუებულ კუთხეებში კიდევ მოჰკიდეს  
ხელი მუშაობას და აწყობენ ეროვნულ საქ-  
მეს, იკრფავენ გარშემო შეგნებულ გლეხო-  
ბას და ნელ-ნელა აჩაღებენ იმ ცეცხლს, რომ-  
ელიც დღეს თუ ხვალ მოეკიდება ჩვენს  
ქვეყანას და გაუწმენდავს, გაუადვილებს წინ-  
სვლის გზებსა. მათში მასწავლებელიც,  
მღვდელიც, განათლებული მემამულეც  
შეგზვდებათ. მაგრამ ცოტანი არიან, მეტად  
ცოტანი და ამაზედ ვჩივით და ვსტორით.

თანამედროვე პროგრესი, საერთოდ,  
კულტურის სწრაფ მოძრაობაში გამოიხატე-  
ბა. ერები, ეროვნულ საქმის მოწყობა და  
განვითარებაში, ერთმანეთს ეჯიბრებიან.  
ვინც ჩამორჩება და დროზედ ვერ დაეწევა,  
ვაი იმისი ბრალი! გასჭეჭყავენ როგორც  
ცარიელ კვერცხის ნაჭუქს, გადალახავენ და  
მიწასთან გაასწორებენ.

ეს რომ არ დაგვემართოს, მთელი ჩვენი  
ძალ დონე და ენერგია უნდა შევადიოთ  
ხალხს ცხოვრე'ის გამდიდრე'ას, მის კულ-  
ტურულ ეკონომიურ ზრდას, ამისათვის კი

ჩვენი ყოველად ჩამორჩენილი და ტარიბი ქვე-  
ყანა ბევრს, ძალიან ბევრს მუშაკს თხოუ-  
ლო'ს. და აი ამიტომ სოფლის ყველა ინტე-  
ლიგენტმა, ვისაც სამშო'ლოს მწოდ-  
თავის ბედ-იღბლად მიაჩნია, ვისაც გული შე-  
სტკივა ხალხისათვის, უნდა წააშველოს მად-  
ლიანი ხელი გლეხკაცს; თავისი ცოდნით,  
მხნეობით, მაგალითით უნდა გამოიყვანოს  
კულტურულ გზაზედ; ამისთვის კი საჭიროა  
მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი, პა-  
ტიოსნება და დაუღალავი მუშაო'ა ხალხის  
საკეთილდღეოდ. და ამ სამუშაოში პატარა  
და დიდი ნა'იჯი—ორთავ დიდმნიშვნელო-  
ვანია

სულ უცბად და მოულოდნელად ლ. ანდრო-  
ნიკაშვილის კანდიდატურა შეუფერებელი აღმოჩნდა.  
„სახალხო გაზეთი“ პასუხად „იმ მრავალ რიცხოვან  
შეკითხვებისა“, რომელიც რედაქციას მოსდის, საქ-  
ვეყნოდ აცხადებს, რომ ანდრონიკაშვილი არამც  
თუ არ შეეფერება მის სურვილებს, პირიქით მაგნეც  
იქმნება მისი განზრახვებისთვის. ასეთმა „პუბლიკა-  
ციამ“ გაგვაოცა არა მარტო ჩვენ; დარწმუნებულე-  
ბი ვართ იგი გააოცებს მრავალ მომხრეებს თვით  
„სახალხო გაზეთისას“. ჩვენთვის ძნელია მიუთი-  
თოთ იმ წუთზედ, როდესაც „სახალხო გაზეთი“  
და ლ. ანდრონიკაშვილი ურთი-ერთს გაშორდნენ,  
ჩვენთვის ძნელია აგრეთვე მიუთითოთ იმ მიზეზე-  
დაც, რომლის წყალობით ეს დაშორება აუცილე-  
ბელი გახდა, რადგან ეს წუთიც და ეს მიზეზიც  
სულ ახალი ხნის აზრებია. მაგრამ რომ აღმოვაჩინოთ  
ის უცნაურობა, რომელიც ახასიათებს „სახალხო  
გაზეთის“ ჯგუფს, იძულებულნი ვართ ვსთქვათ,  
რომ იგი მეორე და მესამე საარჩევნო კომპანიებში  
მუდამ მისი მომხრე იყო, რა მოხდა ამ ხნის განმა-  
ვლობაში, ვინ გაიწია მარჯვნივ, ვინ მარცხნივ,  
ვინ შეიცვალა თავისი რწმენა, თუ ყველაფერი ისევ  
თავის ადგილზეა, ეს სულ ისეთი კითხვებია, რომ-  
ლებიც თავისთავად გამოიკვევა რამწამსვე არჩევნე-  
ბი დამთავრდება ასეთი განცხადება იმ დროს, რო-  
ცა ყველას ეგონა—ყველაფერი თავის რიგზეა ცოტა  
არეულობას არ გამოიწივეს ჯერ იმ ბანაკში, რომ-  
ელსაც „სახალხო გაზეთი“ ეკუთვნის და მერე სა-  
ზოგადოთ მთელს ჩვენ საზოგადოებაში. და არც  
თუ იმის თქმა შეიძლება, რომ „სახალხო გაზეთმა“  
ამ ახსნა-განმარტებით ბევრი რამ მოიგო. მოიგო  
მხოლოდ იმ ჯგუფმა, რომელიც სინარულით აღ-  
ნიშნავს იმ გარემოებას, რომ მან თავის ხრიკებით  
და ფანდებით იძულებული გახდა „სახალხო გაზე-  
თი“ „გაეწილებინა“ ის პირი, რომელსაც რამდენ-  
იმე წელიწადია სასურველ კანდიდატად სთვლიდა.

იბადება საკითხი, მაშ რაზედ იყო დამყარებული ურთი-ერთობა გაზეთისა და ლ. ანდრონიკაშვილისა. თუ პირველმა მხოლოდ ეხლა გაიგო, რომ მეორე მისთვის ყოველად შეუფერებელი პიროვნებაა. ეს გარემოება რასაკვირველია კარგა ვერ ახასიათებს იმ ჯგუფს, რომელიც მუდამ პრინციპების სიწმინდესედ ლაპარაკობს და ძალა უნებურად გვაფიქრებინებს, რომ მისგან ლ. ანდრონიკაშვილის შეუფერებელ კანდიდატად აღიარება მოხდა, უეჭველია, იმ ვაჭრობის შემდეგ, რომელიშიაც, ანდრონიკაშვილი უფრო მტკიცე და პრინციპიანი აღმოჩნდა, ვიდრე „სახალხო გაზეთი“. მაგრამ თუ მართლა ასეა თუ საქმე ვაჭრობასა და დაკლება მომეტებაზედ არის, გაზეთს უნდა ახსოვდეს უმთავრესი პრინციპიც ყველანაირ „ვაჭრობისა“: როგორც გიჭირდეს ისე გიღირდესო. ეს ანდაზა კი ზედ გამოჭრილია თანამედროვე მომენტზედ. და მისი გადაღახვა მხოლოდ მას შეუძლიან, ვისაც უკეთესი კანდიდატის წამოყენება არ გაუჭირდება.

## ვიცინი და ვმღერი!

„როცა ქართულად ვლაპარაკობ ენა მტკივა“-ო სთქვა ერთმა ახალგაზრდა ქართველმა ქალმა და გადიკასკასა.

„დამერწმუნებით, რომ ქართული ენა რუსულს გამოთქმას უფუჭებს ბავშვებს“—მორცხვი ღიმილით ამბობდა ქართველი მამა, დიდი ოჯახის პატრონი, რომლის შვილებმა დედა ენა სრულიად არ იცოდნენ. „აი ჩემ შვილებს ეგზამენები დასაჭერი აქვთ. მოგეხსენებათ, ეხლა როგორ სდევნიან გემნაზიებში უცხო გამოთქმას. მე კი დამშვიდებული ვარ: ჩემმა შვილებმა მშვენივრად იციან რუსული, ფრანგული, გერმანული. ქართულ ენას კი მოესწრობიან გაიზრდებიან შეისწავლიან“.

„ხა ხა-ხა!“ გადხარხარა პატივცემულმა ქართველმა ბანკირმა— .30 წელიწადი ჩვენს ბანკში ქართული ლაპარაკი არ ისმოდა, და ეხლა როგორ უნდა გადავაკეთოთ ბანკის ცხოვრება, რომ ქართული ენა შემოვიღოთ ხმარებაში? ეს ხომ რევოლუციური ჩაითვლება და არც ნებას მოგვცემენ. მე მესმის თქვენი, ახალგაზრდობის, გულწრფელი წადილი.

მაგრამ ფანტაზიები თქვენ შეგ შევეოთ. მეც თქვენ დროს ამისთანავე აზრებით და სურვილებით ვიყავი გატაცებული. მაგრამ სინამდვილე უღმობელია.

„Пачтёныя дятелы!“ სცდილობდა სხვებთან ერთად ერთი ქართველი მოღვაწე, უსათუოდ რუსულად ეთქვა თავისი სიტყვა ქართულ კრებისთვის. მაგრამ კრების სიცილხარხარმა შეაჩერა მისი ცდა. „როგორი გამოთქმა აქვს, ღმერთო“ ამბობდნენ კულუარებში ქართველი მოღვაწენი.

„ქართული ენა ძალიან გვიფუჭებს საქმეს; რუსულს ვეღარ სწავლობენ მოწაფეები“. სთქვა ერთმა სოფლის მასწავლებელმა და უშნოდ გაიღრიჭა.

„ბატონო, შენი ჭირიმე—მოსთქვამდა მწუხარებით ქართველი გლეხი—რა ყრია ქართულ ენაში. ფულს ხომ არ მოიგებ. აი რუსული ენა ადგილსაც მოგცემს, პურსაც გაჭმევს. ჩემი ვაჟები უნდა რუსულ სკოლაში მივაბარო“.

ხარხარი, სიცილი, ღიმილი, ჩივილი სდევნიდა და სდევნის სამშობლო ენას.

დააცქერდით ქართულ ცხოვრების კუნტულებს—ეს „მხიარულება“ საერთო სენად გადაიქცა.

ჩვენ კი დავმღერით: „ეროვნება, ეროვნული, ერი“...

„ჰერი, ჰერი, ჰერი! ვიცინი და ვმღერი!“

ეკალი.

## მსხვილმანების პოლიტიკა.

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენში არ არის არც ისეთი დაწესებულება არც ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც გავლენა ჰქონდეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობაზედ. პირიქით ჩვენ გულ-ახლით ვამბობთ, რომ ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელნიც აქამდე მოქმედებდნენ, ცხოვრების გარეშე რჩებიან, რადგან „ზოგადი“ მათი მისწრაფებანი კონკრეტულ ფორმებში ვერა ყალიბდებიან. ამით

შეორავს ხოლო „სახალხო გაზეთი“ (რომელიც გაიძლიერის გრძელ წერილებს საღეს (არა აზრებით ჩვენს შინაგან) | ცდილობს ჯერ და ვიმტკიცოს, რომ „ქართული საზოგადოებრივ აზრის ევოლიუცია. მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, იქით იყო მიმართული, რომ ზოგადი აზრი ერის განათლებისა და გამდიდრებისა კონკრეტულ ფერმებში ჩამოყალიბებულიყო“ და მერე, სწორედ „ამ ევოლიუციის ნაყოფს წარმოადგენენ ის იდეური მიმართულებანი, რომელთა ნიადაგზედ აღმოცენდნენ თანამედროვე პოლიტიკური ჯგუფები“.

თავი დაიხანებოთ იმას, რომ ამ ფრაზებში გამოთქმული აზრი ნახევრად ყალბია, ვიფიქროთ ერთ წუთს რომ იგი ჩვენთვისაც ისე სწორია, როგორც მისი ავტორისათვის. მერე რა გამოდის აქედან?

საქმე ის არის რამდენად „ჩამოყალიბებს კონკრეტულ ფორმებში ამ პოლიტიკურმა ჯგუფებმა ზოგადი აზრი ერის განათლებისა და გამდიდრებისა“? რაც არ არსებობს—არც კონკრეტულია; მაშასადამე მარტო პროგრამებში „ჩამოკონკრეტებული“ ფორმები სათვალავში მისაღები არ არის.

ასევე ითქმის პოლიტიკურ პარტიებზედაც. ჩვენში პოლიტიკური პარტიები არ არსებობენ. ჩვენში ყველა ჯგუფის და პარტიის მოქმედება სახილმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა გარეშე სწარმოებს. ხომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყოველი პარტია რომელსაც „კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბება“ სურს ცხოვრებისა, იმ თავითვე პოლიტიკურია. იგი შეიძლება უკიდურესი შემარცხენე იყვეს, შეიძლება პოლიტიკურ პარტიად იქცეს, მაგრამ ამისათვის საჭაროა დრო და გარემოება.

ესთქვით აქ ნახევარზე მეტჯერ გარეშე პირობებს აქვთ მნიშვნელობა. თანამედროვე მდგომარეობა ყველას ხელს უშლის სავსებით განახორციელოს თავისი სურვილები.

მაგრამ განა რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს უფიქრია იმ შინაგან მიზეზებზედ და წინააღმდეგობაზედ, რომელიც ხელს უშლის მას საზოგადოებრივ აზრის ნამდვილ გამომხატველად იქცეს? ჩვენ არ ვაწარმოებთ პარლამენტალურ პოლიტიკას, არ ვაწარმოებთ მუნიციპალურ პოლიტიკას, ჩვენ არა გვყავს გლეხთა ორგანიზაციები, ბურჟუაზიული პარტიები, მჭიდრო თავად-აზნაურული კავშირი, მაშასადამე რომელ პოლიტიკურ ჯგუფ-

ზედ შეიძლება ესთქვათ, რომ მან „ჩამოყალიბა ზოგადი მიზანი ერის განათლებისა და გამდიდრებისა“ კონკრეტულ ფორმებში? ჩვენ არ უარყოფთ მნიშვნელობას იმ ზოგად-ფორმულიტიკურ ჯგუფებისა რომელიც უეჭვილია იყო, მაგრამ რომელთ საქმიანობა სწორედ ამაში არ გამოხატულა. განა ყველასთივეს ცხადი არ არის, რომ ჩვენი კულტურული ზრდა ჯერ კიდევ ამ პოლიტიკურ ჯგუფებზედ აღრე დაიწყო, ეხლაც სწარმოებს მის გავლენის გარეშე და თუ რამ კულტურული გაკეთდა ჩვენში, ეს მოხდა იმ ძალ-დატანებით და აუცილებლობით, რომელიც თან სდევს ყოველს ერს, როგორც ასეთს. და თქმა იმისა, რომ „მესამე წლებიდან დაწყებული დღევანდლამდე ამ აზრს არავინ არ ლალატობს“, იმას ნიშნავს თითქოს „მესამე“ წლამდე მართლა არავინ არ ყოფილა ჩვენში. მარტო ბავშვებს შეუძლიანთ ფიქრი რომ მათ დაბადებამდე ქვეყანაც არ არსებობდა.

ჩვენი სურვილების და მომავალ მოქმედების „წვრილმანების პოლიტიკად“ მონათვლა ფრიად სასაცილოა, სხვა რომ არა იყოს რა. ჩვენ ისეთს არას ვვრჩევთ ხალხს, რაც არ შედის თვით „სხვილმანების პოლიტიკაში“, რომლითაც იანე გატაცებულია „სახალხო გაზეთი“, (თუმცა ხალისი და ადვილი რომ ნებას გვაძლევდეს ჩვენ შეგვეძლო მის უფრო „წვნიკა პოლიტიკაზედ“ მიგვეთითებინა). განვითარება საკუთარ ეკონომიურ ძალებისა—ეს არას დევიზი ყველა ხალხებისა, ამას ეძებს ყოველი დემოკრატია, ჩვენც ამას ვქადაგებთ და თუ სახალხოელებისთვის ეს არის „წვრილმანების პოლიტიკა“ აქედან მხოლოდ ის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ რომ ისინი ალბათ საშუალო ტანის ადამიანთა შორის კი არ სცხოვრობენ სადაც პოლიტიკაც ხან წვრილმანია ხან მსხვილმანი, არამედ ბაყ-ბაყ მდევებ შორის, სადაც პოლიტიკა, ცხადია, მუდამ მსხვილი ზოპისა იქნება. იძულებული ვართ ასე ბანალურათ აკხსნათ მათი „მსხვილმანობა“, რადგან დიდის პოტინი ჯერ კიდევ დიდობას არ ამტკიცებს. ყოველი ახალი ჯგუფის მოვლენა კაცმა რომ რეაქციით ახსნას, ეს მხოლოდ სამწუხარო ფიქრებს იწვევს სახალხოელების აზროვნებაზედ. პირ იქით, ჩვენ ვფიქრობთ რომ რეაქცია ჩვენცა და სხვასაც ხელს შეუშლის უფრო სავსებით გამოვიყენოთ დროცა და ძალებიც. ეს იცის „სახალხო გაზეთმა“, იცის რომ ჩვენი გამოსვლი რეაქციით არ არის გამოწვეული, მაგრამ მაინც თავს იკატუნებს, თითქოს ვერ გვიცნობს ვინა

ვართ, რა გვინდა. ძალა უნებურად გინდა ჰკითხო გაზეთს: განა თვითონ მას არ წაართვა რეაქციამ ქალწულობა? როგორ არა! და როგორც არც ერთს ქალს აღარ უბრუნდება ქალწულობა არც მას დაუბრუნდება იგი.

მაგრამ ეს არაფერია, ეპატიება: კაცმა სხვისი აზრი, რომ სწორედ ვერ გაიგოს, მეტადრე სხვისი აზრი, ამისთვის დასჯა თითონ იქმნებოდა დანაშაული. გაზეთმა არც აიღო, არც დაიღო და სწორედ იქიდან მოგვიარა, საიდანაც არავითარ თავდასხმას არ მოველოდით. სულ უმიზეზოდ და ანაზღეულად აპოლიტიკოსებად მოგვანათლა და რაკი ვითომ პოლიტიკა არა გვწამს სხვა ყველა ჩვენ აზრებს „წვრილმანების პოლიტიკა“ უწოდა. უპირველესად ყოვლისა ჩვენ ვაცხადებთ, რომ ასეთი აზრი გაზეთისა სიცრუეა, რომელიც არც ერთის სიტყვით, არც ერთის სტრუქციონით არ დაგვიმსახურებია და თუ „სახალხო გაზეთმა“ მაინც დაგვწამა ცილი, აღბად იმიტომ რომ ჩვენ აპოლიტიკოსთან თავისი თავი უფრო პოლიტიკურად მოეჩვენებინა.

ჩვენ კი იმ აზრისანი ვართ, რომ აპოლიტიკოსს ემსახურებიან თავის უმოქმედობით ის „პოლიტიკური ჯგუფები“ რომელთა უხეში „ფართო“ სოციალურ-ეკონომიური პროგრამები მაჯლაჯუნასავით დააწვინენ ხალხს და რადგან საერთო პირობები ხელს არ უწყობენ მათ მოქმედებას, იძულებულნი არიან თითონაც მძოვრად იდონ და ხალხიც უმოქმედოთ ამყოფონ. აი, თუ გნებავთ მათი მსხვილი პოლიტიკა, რომელიც სრულ აპოლიტიკოსებად იქცა ქართველ ხალხისათვის.

ჩვენის აზრით გონიერი ეროვნული პოლიტიკა სწორედ ის არის, რომელიც ამოქმედებს ხალხს თუნდა იმისათნა სასტიკ ხანაში, რომელშიაც ჩვენა ვსცხვრობთ. ასეთ პოლიტიკად კი მიგვაჩნია მისი ეკონომიური გაღონიერება. როდის შეეძლება ქართველ ხალხს სთქვას რომ იგი ეკონომიურად ღონიერია? კიდევ უნდა გავიმეოროთ რაც პირველ ნომერში ვსთქვით: მაშინ, როცა ქართველი ხალხი იქნება პატრონი თავის სამშობლო ქალაქებისა, და მიწა წყლასა, თავისი ქარხნებისა და ფაბრიკებისა, როცა ქართველ ხალხს ექმება ინტენსიური მეურნეობა და საზოგადოდ მდიდარი ალებ მიცემობა. ეს კი ყოველგვარ ორგანიზაციების, კოოპერატივების და ამასთანავე კერძო ინიციატივის საშუალებით მოხდება. თქვენ არა გჯერათ და გიკვირთ, სად გაგონილა რომ ვაჭარი თავის სიმდი-

დრით ეროვნულ სიმდიდრესაც ჰქმნიდესო. სჩანს ეს თქვენ არსად გინახავთ, არსად ვაგიგონიათ, არსად ამოგიკითხავთ! მაგრამ განა თქვენ ვალდებულნი ხართ ყველაფერი ნახოთ, გაიგონოთ, წაიკითხოთ?! პირიქით... „რა ბედნიერი ხარ, რომ არაფერი წაგიკითხავს?!“ უთხრა ერთმა ფილოსოფოსმა გლეხს.

ამასვე გეტყვით თქვენც.

## ჩვენის საქმეები

წერილი I\*).

დღევანდელი ქართველი საზოგადო მოღვაწე.

წარსულ №-ში ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენს საზოგადოებას ამ ბოლოს დროს ძალები მიემატა. უმაღლეს სწავლა-მიღებული ახალგაზრდობა, აგრედვე საშუალო სწავლისაც, დღეს, შედარებით, ბევრი გვყავს. მრავლად არიან ჩვენში ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები და სხვა. ბევრი გვყავს აგრედვე „საზოგადო მოღვაწე“, „მწერლები“, „პუბლიცისტები“, „პოეტები“, „პოლიტიკური მებრძოლნი“ და სხვა. მაგრამ ეს უკანასკნელები მარტო ბრკყალებში არიან მოქცეულნი, ხოლო პირველთ დაუკრებიანთ გულ-ხელი და გარშემო სეირს უყურებენ.

ვინც უნდა აკეთებდეს საქმეს, ის არ აკეთებს, ვინც არ უნდა აკეთებდეს, ის აკეთებს. ვინც შეგნებულია, ვისაც ცოდნა აქვს, ვინც კულტურულად ამაღლებულია, ის განზე სდგას და გულგრილად შეჰყურებს იმ გვარ ადამიანის მოქმედებას, რომელსაც არც ცოდნა აქვს, არც გამოცდილება, რომელიც კულტურულად დაბლა სდგას და რომლის ზნეობა მეტად საეჭვოა.

საუბედუროდ ამ უკანასკნელთ დიდა ენერგია აქვთ ბუნებისაგან მინიჭებული და პირდაპირობაში და ჯიუტობაში ხომ მათ ცალი არა ჰყავთ.

შუბლ-შეკრული, მკაცრი, უბრალო, პატარა მაგრამ ჯიუტი ქკუით დაჯილდოვებული ამ გვარი ადამიანი ისე მოქმედობს ცხოვრებაში, რომ საქმის მეორე მხარეს, საქმის ფერადობას, წვრილმანს თავის დღეში ვერ დაინახავს, ვერაფერს მიხვდება, არავითარი ექვეები არ დაემალება და თავის დღეში ვერ წარმოიდგენს, რომ შესაძლებელია იყვეს დედამიწის ზურგზე და არსებობის უფლებაცა ჰქონ-

\* ) მეორე №-ში შეცდომით იყო წერილი II.

დეს, ისეთი ადამიანი, რომელიც აზროვნობს, მსჯელობს, სწამს და მოქმედობს სხვანაირად, არა ისე როგორც ის.

დაუმატეთ ამ ენერჯიას, პირდაპირობასა და ჯიუტობას სალი კკუა, ცოდნა, გულწრფელობა და ჩვენს ბედს მაშინ ძალდი არ დაჰყეფდა. ახლა კი სწორედ ამ სამი თვისების მადლობელი უნდა ვიყვნეთ რომ საზოგადოება გაირყვნა, დაკნინდა, დაიშალა. რომ დღეს ჩვენში ერთი ალთას მიიწევს, მეორე ბალთას; ერთი ერთ ჰანგზე მღერის, მეორე მეორეზე, მესამე სულ გაჩუმებულია და აღარაა ჩვენში ის შეთანხმება, ის ერთი აზრი, მიზანი, მისწრაფება და ის სოლიდარული მუშაობა, რომელიც მთელ ეპოქასა ჰქმნის სხვა და სხვა ხალხის ცხოვრებაში.

დღეს ჩვენში ვინც თავისი ბუნებით და მოქმედებით განდევნის და დასჯის ღირსია მხოლოდ, საზოგადო საქმეებს ხელმძღვანელობს, ის ვინც საგიჟეთში უნდა იყვეს და გრჯის პერანგი ეცვას, კკუას გვარიგებს, ის ვინც ცხოვრების სცენის წინ „გალიორკაში“ უნდა იჯდეს, პარველ რიგის სავარძელშია გამოქიმული.

ასე მოუვა იმ საზოგადოებას, რომელიც არ გაარჩევს პატიოსანს უპატიოსნოსაგან, ჰკვიანს სულელისაგან, მცოდნეს უფიცისაგან, გულწრფელს დიპლომატისაგან.

ასე მოუვა იმ საზოგადოებას, რომელიც ყველას ერთს ფასსა სდებს, ერთი ზომით ზომავს, ერთი წონით სწონავს.

საზოგადოება, რომელიც თავის წევრს, ჰუჰყიან ადამიანად ყველასაგან ცნობილს წევრს, თავის წრეში ადგილს მისცემს, საზოგადოება, რომელიც მეტიჩარა, არა მკითხე მოამბეს არ შეუტევს და არ ჩააჩუმებს, რომელიც არ დასჯის ზნეობრივად მაინც ბოროტ-განმზრახველს და სიყვარულით და პატივისცემით არ მოექცევა პატიოსანს, ის საზოგადოება სასურველ კალაპოტში ვერ ჩააყენებს ცხოვრებას და გარყვნის, გაასაძაგლებს მას.

ყველა საზოგადოებას თავისი ზნეობრივი კანონები აქვს და ყოველი მისი წევრი ექვემდებარება ამ კანონებს.

რატომ არა გვაქვს ჩვენც ეს კანონები?

მიიხედ-მოიხედეთ გარშემო. გულწრფელობას, ადამიანობას, რაინდობას, ვაჟ-კაცობას ვგლარსად დაინახავთ.

აგერ ერთი სურათი: ორი თქვენი ნაცნობი

დამეგობრდნენ. დღე და ღამ განუყრელები არიან, ერთად დადიან, დამღერაიან, უერთიერთმანეთოდ სიცოცხლე არაფრად მიაჩნიათ. შურის თვალით შეჰყურებთ მათ კავშირს, გგონიათ, შეთვისებულნი, შედუღებულნი არიან ჰკუთნიან ზნეობით, რწმენით, მისწრაფებით, უცბად... სურათი იცვალა. თქვენ წინ ორი დაუძინებელი მტერი გამოისახა დაშორდნენ ერთმანეთს მეგობრები, ხან თავ პირს ამტვრევენ, ხან შორიდამ ჰღრენენ და ჰყეფენ ერთმანეთს.

რა მოხდა? რად დაიშალა ასე უცბად მათი სულის შემაერთებელი ცემენტი?

კრილოვის „ძვალი“ გადმოუგდო ვრლაცამ სახლის აიფნიდან!

„ძვალი“ დაინახეს და გუნენ ერთმანეთს ყანყრატოში. თუ როგორმე მორიგდნენ, ხომ ისევ მეგობრებად შეიქმნებიან, არა და საშვილი-შვილოდ ჩამოვარდა მათში მტრობა და შური.

აგერ მეორე სურათი: გაზეთის ფურცლებზე გამოსულა „პუბლიცისტი“ და სჰექს, და ჰჰუხს, ყველას და ყველაფერს წალეკას უპირებს, კალამი მისი შხამის წვეთებს ისვრის. ბრძოლაში ულმობელია, დაუნდობელი. საქვეყნოდ გამოაქვს მოწინააღმდეგის ნებსითი თუ უნებლიეთი ცოდვები. ბოროტ-მოქმედებას აჩენს, სტირის ჰრისტეს კრემლით, იცინის დემონის სიცილით, იმუჰრება ზევესივით... რა მოხდა?

პუბლიცისტი „ძვალსა“ ხედავს და უახლოვდება მას შულ-ნელა, ფენ-აკრებით, ჰეჩო-ამრეხილი და თვალეზ ჩასისხლიანებული.

აგერ მესამეც: კრებაზე პირწყლიანად, ცხარედ ლაპარაკობს „ორატორი“, ლაპარაკობს რინით, მისი აზრის მოწინააღმდეგის შესამუსრავად მუშტები მხადა აქვს. მთელი მისი არსება ამბობს: ან გამარჯვება, ან სიკვდილი!

რა აღაპარაკებს, რად იწურება ოფლში?

აქაც ის შეჩვენებული „ძვალი“ მოსჩანს?

ამ „მებრძოლს“ ზედ შუბლზე ნათლად, გარკვევით აწერია: „ძვალს“ თუ არ მომცემთ და არ გამაჩუმებთ, თავ-ბედს გაწყველინებთო.

ამ გვარ სურათს ბევრს შეხვდებით დღეს ჩვენში. დიდად სამწუხარო და სავალალოა ასეთი დაცემა ზნეობისა ადამიანში, მაგრამ ყველაზე სამწუხაროა ის შედეგი, რომელიც საზოგადოების ამ გვარ ავადმყოფობას მოაქვს.

ამ ნაძირალათა რიცხვი რომ მრავლდება, კავშირს ადგენენ, ერთდებიან და საერთო ძალით

მაქვთ იერიში იმათზე, ვინც მათ წინააღმდეგობის გაწევას გაჰბედავს, ე. ი. საზოგადოების კეთილგონიერსა და პატიოსან ნაწილზე.

პატიოსანი წევრი საზოგადოებისა სულით ეცემა, ფრთები ეკეცება და საქმეს გულით ვეღარ ეკიდება, ან სულ შორდება მას და სამუდამოდ სახლში იკეტება.

ყველას ვერ მოვთხოვთ გმირობას.

ყველა ხომ ფემისტოკლესი არ არის, რომელსაც ჯოხი მოუქნიეს თავში დასარტყმელად და თავი მიუშვირა: დამკარ, ოღონდ კი მომიხმინეო.

ბევრი ამბობს ჩვენში: რაზე გავატებინო თავი. წავალ, გავშორდები და რაც უნდა, ისა ჰქნანო.

მართლაც ერთი, ორი მოწინააღმდეგე ვერაფერს გახდება ამ ტურების ხროვასთან. საჭიროა შეერთებული ძალით ბრძოლა. ერთი ხმით შეტავა, მედგარი იერიში, რომ ეს ხროვა გაიფანტოს და ყოველი მათგანი თავ-თავის სოროში შეძვრეს.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასეც მოხდება. ყველაფერს თავისი სამზღვარი აქვს, ხოლო ჩვენი საზოგადოების მოთმინება სამზღვარზეა მისული.

სავსე ჯამს ერთი წვეთი-ლა აკლია.

მეგობარი.

### პეტრე ბაგრატიონი.

(1765—1812).

#### III

პეტრე ბაგრატიონის სამხედრო ცხოვრებისა და მოქალაქობის აღსაწერად ჩვენა ვსარგებლობთ მხოლოდ რუსეთის წყაროებით; ქართულად დაწერილი წიგნაკი ზ. კიკინაძისა—„რუსეთის სამამულიშვილო ომი 1812 წ., პეტრე ბაგრატიონი და სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი“—სათვალაფში არაა ჩასაგდები. სამწუხაროდ, რუსული წყარონი და მასალანი: სამხედრო ენციკლოპედია, ტ. IV, საიდანაც თითქმის უცვლელად და სიტყვა-სიტყვით ვკრეფავთ ბაგრატიონის საარაკო ომიანობის ამბებს; ენციკლოპედია სამხედრო და საზღვაო მეცნიერებისა გენ. ლეიტ. ლეერისა, ტ. I და 1812 წ. სამშობლო ომის ისტორია გენ.-მაიორის ბოგდანოვიჩისა, ტ. I, სრულიად არას გვიამბობენ, თუ სად დაიბადა და აღიზარდა პეტრე ბაგრატიონი, სად და როგორი განათლება მიიღო, როგორი იყო სიყმაწვილე და სიტაბუკე ამ საოცარის—ომისა და ბრძოლისათვის გაჩენილის გმირთა გმირისა.

განათლებით, თეორიული ცნობებით და აღმინისტრაციული გამოცდილებით ბაგრატიონი ჩამოუკარდებოდა ბარკლაი-დე-ტოლლისაო, ამბობს ისტორიკოსი გენ.-მაიორი ბოგდანოვიჩი, თუ ეს დახასიათება ბაგრატიონისა მართალია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე ბაგრატიონს, შეიძლება, სკოლა თვალთაც არ უნახავს და მხოლოდ შინაურული მცირე განათლება მიუღია უფიც გუვერნიორ გუვერნანტკებისაგან. მართლაც, 16—17 წ. ჰაბუკი შევიდა სამხედრო სამსახურში, სიკვდილამდე ბრძოლის ველს არ მოსცილებია, ხშირ ომიანობის წყალობთ ტანთსაცმელის გახდას ვერ ახერხებდა და ძილისათვის ბევრჯელ სამს-ოთხს საათს ვერა შოულობდა და როდისღა უნდა მიეღო საფუძვლიანი თეორიული განათლება! ცხადია, რომ განგებას პეტრე ბაგრატიონი გაუჩენია ომისა და ბრძოლისათვის, რომ ომიანობა და დაშქრობა ყოფილა მისი სტიქიონი და მეორე ბუნება.—

სამხედრო მოღვაწეობა პეტრე ბაგრატიონისა გავრძელდა სრული 30 წელიწადი. ამ ხანში მონაწილეობა მიიღო 20 ლაშქრობაში და 150 ომსა და ბრძოლაში. მაშასადამე, მთელი თვისი სიცოცხლე პეტრე ბაგრატიონმა ბრძოლის ველზე გაატარა.

პეტრე ბაგრატიონი იყო შუათანა ტანისა ხმელ-ხმელი შავვრემანი და პირ-წავარდნილი ქართველურის სახის გამომეტყველებისა. დიდი არწივებური ცხვირი თავადის პეტრესი მრავალ-გვარ ოხუნჯობის საბაზად გადაქცეულა\*) ლამაზი არ ეთქმის ასეთის ცხვირისა და სახის კაცს, მაკრამ ჯარის კაცნი მაინც აღმერთებდნენ ბაგრატიონს და არწივს ეძახდნენ. ცხადია, რომ ის ღვთაებრივი ძალა, რომლითაც სავსე იყო მისი ფიზიკური არსება, ულამაზოს ლამაზად ხდიდა, დაბალს ტანოვანად და წარმოსადეგად და შავვრემანს შუქ-მფენელად. ისტორიკოს დანილევსკის სიტყვით, ჯარის-კაცებმა თვის საყვარელ გენერალს თავისებურად შეუცვალეს გვარი და ბაგრატიონის მაგივრად ასე ეძახდნენ: Богъ рати онъ, ესე იგი ჯარიანობის ღებრთია იგიო.

\*) აი ერთ-ერთი ანეკდოტი. ერთხელ თურმე გულგანეთქილი, პაჭუა ცხვირის პატრონი, ადიუტანტი, შეტრა ბაგრატიონის კარავში და მდღეღვარებით მოახსენა: თქვენო ბრწყინვალეზავ, მტერი ცხვირზე მოგვადგაო (Неприятель на носу). ბაგრატიონმა შეხვდა ადიუტანტს და დაშვიდეებით უპასუხა: თუ მტერი თქვენსაზეა, სწორედ რომ საშიში ყოფილა ჩვენი მდგომარეობა, ხოლო თუ ჩემსაზეა, მაშინ მოვასწრებთ თავს ვუშველოთო.



შემთხვევით პეტრე ბაგრატიონმა სამხედრო სამსახური დაიწყო ჩრდილოეთს კავკასიაში, მაშასადამე თავის სამშობლო საქართველოს მეზობლად. მეფრამეტე საუკუნის მიწურულებში რუსეთი დიდის მხნეობით მიტოვდა ოსმალეთს და ჩრდილოეთ კავკასიის მთიულებს. ბევრმა რუსის გამოჩენილმა სარდალმა აქ, კავკასიელ მთიელებთან განუწყვეტელ ომებში, მიიღო საბრძოლო ნათლობა. კავკასია იყო რუსის მხედრობისთვის პრაქტიკული სამხედრო აკადემია და აი სწორედ ამ პრაქტიკულ სამხედრო აკადემიაში დაასრულა პეტრე ბაგრატიონმა თვის სამხედრო განათლება. აქვე მიიღო პირველი საშიში ჭრილობა და საბრძოლო ნათლობა. პირველი ტყვია, რომლითაც დაიკოდა იგი, იყო მეზობლის, კავკასიის მთიულის ტყვია.

პეტრე ბაგრატიონი, სულ 17 წლის ჯაბუკი, გაამწესა გენერალმა პოტემკინმა სერჟანტად (უნტერ-აფიცრად) კავკასიის მუშკეტერის პოლკში 1782 წ. მთელი ხუთი წელიწადი 1783, 1774, 1786, 1790 და 1791, განუწყვეტელ ომიანობაში გატარა პოლკმა დრო; მარტო 1788 წ. კავკასიის მუშკეტერის პოლკი დროებით გაიწვიეს ოსმალეთის საზღვარზე, სადაც მიიღო მონაწილეობა ოსმალეთის ციხის ოჩაკოვის იერიშით აღებაში. ბაგრატიონი პოლკს არა შორდებოდა და ამასთან ერთად ომობდა ხან მთიელების, ხან ოსმალეების წინააღმდეგ.

ერთ-ერთს კავკასიის მთიელებთან შეტაკებაში ძლიერ დაქრილა ბაგრატიონი და უპატრონოდ დარჩენილა ბრძოლის ველზე დახოცილთა და დაქრილთა შორის. თურმე მთიელებმა იცნეს ბაგრატიონი და სიყვარულითა და მოწიწებით მოეპყრნენ. მოჰბანეს შეუხვიეს ჭრილობანი და სიკვდილს გადაარჩინეს. მთიელებს საზოგადოდ ჩვეულება ჰქონდათ, რუსის მთავრობას ტყვეებს რომ დაუბრუნდნენ ხოლმი, სასყიდელს ართმევდნენ, ამ შემთხვევაში ჩვეულებას უღალატეს და მოსურიელელებული ბაგრატიონი მიჰგვარეს რუსებს ბანაკში და სასყიდელზე უარი სთქვეს. თურმე რაღაც სიკეთე ხსომებიათ მთიელებს პეტრეს მამის ბატონიშვილი ივანე აღექსანდრეს ძისა და ნიშნად სიყვარულისა და პატივისცემისა რუსებს სასყიდელი არ გამოართვეს. რა სიკეთე იყო ეს სიკეთე, რა ხასიათისა, როდის ან რა სახით გაუწია ბატონიშვილმა ივანემ სამსახური მთიელებს, რომ მის შვილს სიცოცხლე მიანიჭეს და უსასყიდლოდ თავისუფლება აჩუქეს, ცნობები არა გვაქვს.

პეტრე ბაგრატიონმა ისე ისახელა თავი მთიელებთან ომებში და ოჩაკოვის იერიშით აღების დროს, რომ უბოძეს პრემიერ-მაიორის ჩინი. ამიერი თავდება პეტრე ბაგრატიონის სამხედრო დედაწლი ჩრდილოეთ კავკასიაში და კავკასიის მუშკეტერის პოლკში.

პრემიერ-მაიორი ბაგრატიონი გადაიყვანეს 1793 წ. სოფიის კარაბინერთა პოლკში. 1794 წ. პოლკი გადავიდა პოლონეთში, სადაც მოქმედებდა გამოჩენილი სარდალი სუვოროვი.

საშინელი ხანა იყო ეს ხანა პოლონეთისათვის. სამმა ძლიერმა სახელმწიფომ, რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ მოინდომეს პოლონეთის გაქრობა პოლიტიკურად და საქმეს მხნედ შეუდგნენ. ჟამ-ჟამად ინაწილებდა უოთი ერთ შორის ეს სამი სახელმწიფო პოლონეთის ტერიტორიას და სისხლს უშვებდა ვითარცა დალაქ.

მხნედ იბრძოდა პოლონეთი პოლიტიკურის თვით-არსებობისთვის, მაგრამ ვერას გახდა, რადგან სახელმწიფო ორგანიზმი დაზიანებული ჰქონდა და ამის გამო ჩხნეობა, ძამაცობა და თავგანწირვა თითო ოროლა მამულიშვილისა, ან რაზმისა ვერას ხდებოდა. ომიანობით ქვეყანა ეკონომიურად ილუპებოდა და ილეწებოდა, ხოლო მის ნაცვლად თავისუფლებას ვერ პოულობდა.

ომისათვის გაჩენილ დაბადებული პეტრე ბაგრატიონი იმის გორჩევაში ვერ შევიდოდა, თუ რა აზრით იბრძოდა პოლონეთი. მეომრისათვის ომი ტიქიონია და მტერი მტერია მორჩა და გათავდა.

პეტრე ბაგრატიონის სამხედრო ნიჭი ისე გაიფურჩქნა პოლონეთის ომებში, რომ სუვოროვმა ყურადღება მიაქცია ჯაბუკს მეომარს და შვილიშვით შეიყვარა. ცხენოსანთა რაზმებით ბაგრატიონი თავზე ხელ-აღებულ და უზომო გაბედულობით იერიშებით მიდიოდა ციხე-ქალაქებზე. გახსაკუროვით ამ თავხედობამ იჩინა თავი პრავის იერიშით აღების დროს. სარდალი სუვოროვი ისე მოხიზლა პეტრე ბაგრატიონმა ვაჟაკობით და მამაცობით, რომ სადად და უბრალოდ „თავად პეტრეს“ ეძახდა. არცა მალავდა სუვოროვი თავის კეთილ-განწყობილებას და მამობრივ სიყვარულს პეტრასადმი. არც შეგირდი იყო უმადური თავისის მასწავლებლისა და სიყვარულს სიყვარულითვე უხდიდა.

პოლონეთის ლაშქარ-ომიანობა სუვოროვის ხელმძღვანელობით—აი მეორე სამხედრო აკადემია პეტრე ბაგრატიონისა.

აღ. ფრონელი.

# ჩვენს გარეშე.

## ბალკანეთის პატარა ერთა ერთსულოვნობა და ევროპის დიდ სახელმწიფოთა შეშფოთება.

ევროპის დიდ სახელმწიფოთა არსებული ურთიერთ განწყობილება დღეს დიდს განსაცდელშია, იგი ამ ეპოქად კრიზისს განიცდის. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად კარგა ხანია სახელმწიფოების სადიპლომატო აპოათი ამოძრავდა და მთელი თავის მლიქვნელი და გაიძვერა ენა, აწ არსებულ ტრადიკულ მდგომარეობიდან თავის საკუთარ სარგებლობის გამოსაგლეჯად აალავლა. ევროპის მოწინავე საზოგადოება დიპლომატთა ჯამბაზობას გულისწყრომით იხსენიებს და ამის შედეგს — ახლო მომავალში საერთაშორისო ომს — შეშინებული მოელის.

ამ, აწ არსებულ საერთაშორისო მდგომარეობის გამამწვავებელ მიზეზად, ბალკანეთის პატარა ერების, — ბულგარეთის, სერბიის საბერძნეთის და ჩერნოგორიის შეკავშირება უნდა ჩაითვალოს; შეკავშირება, რომელსაც ძიხნად აქვს თავის საკუთარი ინტერესების დაცვა თავისივე პატარა, მაგრამ საკუთარ მოძმეთა სიყვარულით გამოწვეულ, აღფრთოვანებულ ერთსულოვანი ძალით.

ბალკანეთის საკითხი არ ახალია ძველია. აქ მცხოვრებ პრავალ-ფეროვან ერთა ურთი-ერთ გამწვავებული განწყობილება დიდი ხანია ყურადღებას იწვევს მთელი ევროპის მოწინავე საზოგადოებისა, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა მიერ მათდამი განსაზღვრულ პოლიტიკის წარმოება, ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტას ართულებს. დიდი სახელმწიფონი განგებ ახანებენ ამ საკითხის გადაწყვეტას, რომ სხვა და სხვა კომბინაციების წყალობით ცოტ-ცოტა მთელი ბალკანეთის ნახევარ კუნძული გაინაწილონ. ისინი დღევანდლამდე ვერ შესდგომიან თავიანთ დიდი ხნის განზრახვის შესრულებას. ეს უძთავრესად აიხანება, იმის გარდა, რომ იგინი ვერ სორიგებიან ერთმანეთს მომავალ „მემკვიდრეობის“ განაწილებაში, იმითაც რომ ოსმალეთი, ეს ოდესღაც მთელი ბალკანეთის მბრძანებელი და დღეს კი ავადმყოფი და „მომაკვდავი“, ჯერაც კიდევ სიცოცხლის ნიშნებს იძლევა; მასთან კი, თუნდაც მომაკვდავთან, სახელმწიფოები შებრძოლებას ერიდებიან და ისევ ისეთ გზას არჩევენ, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად ბოლო მოულონ და

როგორც იყვეს სული ამოაცალონ მათ მიერ უკვე განწირულ ოსმალეთს. ასე, მაგალითად, ერთი რომელიმე სახელმწიფო სხვებთან წინდაწინვე შეთანხმებით, ჩავლებს კლანქს ოსმალეთის საძაღლო-ბელის რომელიმე ნაწილს და გააშინებს თავისად, თავის მბრძანებლობის ხელქვეითად, დანარჩენები კი მყიხვე ჩაერვეიან საქმეში და ოსმალეთს „კეთილის რჩევით“ აჩუმებენ — ესე მოხდა, როცა ერთი წლის წინად ავსტრიამ ხელი ჩასკიდა ბასნია-გერცეაოვინას. ან კიდევ რომელიმე დიდი სახელმწიფო „შეწუხებული“, ოსმალეთის მიერ „მონათესავე ერის“ ბარბაროსულ შევიწროვებით იარალით ანთავისუფლებს მას და ანიჭებს თავისუფლებას. — გავიხსენოთ რუსეთის მიერ ბულგარეთის დახმარება; ამის გარდა ისეც ხდება, რომ ყველა დაინტერესებული ევროპის დიდი სახელმწიფო ერთბაშად ჩაერვეა ოსმალეთის საქმეში და რომელიმე მის პროვინციას გამოჰგლეჯს ხელიდან და წესიერების დასამყარებლად აბარებენ თავიანთ თანამოზიარეს; მაგ. ასე მოექცნენ მაკედონიის დიდ სახელმწიფოებს ამ გვარად ამოქმედებდა არა მართლა ვისიმე შეწყალება-სიბრალული, ან გულწრფელი სურვილი რომელიმე დაჩაგრული ერის განთავისუფლებისა, არამედ თავიანთი საკუთარი ინტერესი, რომელიც გამოიხატება სხვა და სხვა ნაწილების ჩამოკრცნით ოსმალეთის დასუსტებაში. თუმცა ამისთანა მოქმედებაში თითქო წინააღმდეგობაც არის: ერთის მხრით ოსმალეთის დასუსტება, მეორე მხრით იქვე პატარა ერების საკუთარ ძალთა შექმნა. მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია, რად გან ცალცალკე პატარა ერები არაფერს საშიშს არ წარმოადგენენ დიდ სახელმწიფოთათვის, რაკი საერთაშორისო პოლიტიკის აზრით პატარა ერები ბოლოს და ბოლოს დიდ სახელმწიფოთა ლუკმად უნდა იქმნენ. მაგრამ, მიუხედავად ამ გვარის რწმენისა, დიდი სახელმწიფონი ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებს, ყოველი შემთხვევისათვის, ძუდამ თავიანთ გავლენის ქვეშ ამყოფებდნენ და დღევანდლამდე ყოველივე ნაბიჯის გადადგმაში თავის კითხულობად და ყურ-მოჭრილ ყმად ხდიდნენ. ამასთანავე ესევე დიდი სახელმწიფოები ბალკანეთის პატარა სახელმწიფოთა შორის ყოველთვის ისეთ მდგომარეობასა ჰქენიდნენ, რომ ეს უკანასკნელი ერთმანეთს მგლებივით უცქეროდნენ, მაგალითად ბულგარეთი და საბერძნეთი. დღეს მდგომარეობა შეიცვალა, პატარა სახელმწიფოებმა, სჩანს, კარგად შეიგნეს პატრონების გულ-

შემატკივრობა, მიხედნენ რომ მათზედ არავინ არას ზრუნავს, რომ იგინი მხოლოდ სათამაშონი არიან დიდრონ სახელმწიფოთა სვაფურის გაუმაძღრობისა, დარწმუნდნენ რომ თავის შველა და თავისიანებისა შეიძლება მხოლოდ საკუთარისავე ძალით და დახმარებით ისეთივე პატარა და ერთგვარ ბედში მყოფთაგან, როგორც თვითეული მათგანია. აი, უეჭველია, ამ შეგნებმა გამოიწვია ბალკანეთის ოთხ პატარა სახელმწიფოს კავშირი, რაც დიდი სახელმწიფოებისთვის დღევანდლამდე წარმოუდგენელი იყო და რამაც ასე შეაშფოთა.

პატარა სახელმწიფოთა კავშირი, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გამოწვეულია მაკედონიის განთავისუფლების სურვილით.

ამ მაკედონიის თავისი ისტორია აქვს, იგი დღევანდლამდე შეადგენს ოსმალეთის პროვინციას. დასახლებულია უმეტესად ქრისტიანებით, მოკავშირეთა ნათესავ ერებით. ჯერ კიდევ ამ 34 წ. წინად ბერლინის ხელშეკრულების 23-ე მუხლის ძალით მაკედონიის სვე-ბედი თითქოს უზრუნველი იყო; ვაშობ თითქოს, რადგანაც მაკედონიის უზრუნველ საყოფად წესების შემუშავება ჩააბარეს ისევ იმ ოსმალეთს, რომლისგანაც უნდა უზრუნველ ეყოთ იგი. პორტას უნდა აერჩია სპეციალური კომისია, საცა მონაწილეობას მიიღებდნენ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელიც შესამუშავებლად აღნიშნულ წესებისა, მაგრამ მას შემდეგ უკვე, როგორც ვთქვი, 34 წ. გავიდა, ბევრი კომისიები გამოიკვალა და მაკედონიისთვის არა გაკეთებულა რა; გამოიკვალა თვით ოსმალეთის მართვა-გამგეობა, რამაც მაკედონიის მცხოვრებთ სხვა ბალკანეთის მცხოვრებლებთან ერთად დიდი იმედები აღუძრა: ეგონათ მაკედონიაში რეფორმების განსახორციელებლად არსებული კომისიაც აღარ იყო საჭირო და მოსპეს კიდევ. მაგრამ ოსმალეთის სახელმწიფოს ცვლილების შემდეგ უკვე პ წელია და მაკედონიის ცხოვრება თუ უარესი არა ხდება, არ უმჯობესდება. არც მოსალოდნელია რომ გაუმჯობესდეს თუ იგი ისევ ოსმალეთის ნებაზედ იქნება დამყარებული და დიდ სახელმწიფოთა დახმარებაზედ. მართალია ოსმალეთის მმართველი წრე, ახალგაზრდა ოსმალეები, რომელთაც თავიანთი გადაჭარბებული იაკობინურის ცენტრალიზმით აბდულ ჰამიდის ხანა მოანატრეს ბალკანეთის ერებს, დამარცხდა და მართვა-გამგეობას, დროებით მაინც, ჩამოშორდა; მაგრამ არც ეგრედ წოდებული ლიბერალებისაგან, რომელნიც

მოექცნენ სათავეში, თუმცა იგინი დეცენტრალიზმის მომხრედ აღიარებენ თავს, შეიძლება მოველოდეთ რასმეს მაკედონიის სასარგებლოდ, რადგანაც მათ გამარჯვებაში რეაქციონერებს, აბდულ-ჰამიდის ყოველნაირ მომხრეებსაც, წილი უდევთ და ჯერ კარგა ხანს (ვადრე ახალგაზრდა ოსმალეები სრულიად დამარხდებოდნენ) მათი თავი ლიბერალებისთვის საჭიროა. ერთი სიტყვით, რეფორმები ქალაქზედ და იმედები ბევრი იყო, მაგრამ ყველა ამათ ჩაილულის წყალი დალიეს. მაკედონიაში მცხოვრებ ერების მონათესავე პატარა სახელმწიფოები კი ყველა ამას დღევანდლამდე გარედან შესკქეროდნენ და ზემო აღნიშნულ მიზეზების გამო, ვერას ახერხებდნენ; დღეს კი იმავე გაზეთების გადმოცემით ოთხი პატარა მოკავშირე სახელმწიფო, გამსჭვალული ერთის გრძნობით და ერთის მისწრაფებით დიდით პატარამდე თავით ფეხამდით შეიარაღებული, ხმა მალლა მოითხოვს: 1) რუმელიის ქრისტიან მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესებას მათ, მოკავშირეთა, — საერთო საქმედ ქცევას და 2) მაკედონიის ავტონომიას.

მიუხედავად იმისა რომ საქმე შეტად გამწვავებულია და მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკება ხდება საზღვრებზედ, მაინც ომის ფარგლების გაფართოვების აუცილებლობაზედ ვერას ვიტყვით, რადგანაც იგი იმდენად მოკავშირეთა და ოსმალეთის ნებაზედ არ არის დამოკიდებული, რამდენადაც ევროპის დიდ სახელმწიფოების სურვილზედ, ამათი სურვილები კი დამოკიდებულია თვითეულ დაინტერესებულ სახელმწიფოს შინაურ მდგომარეობაზედ, მათ ჯგუფობრივ კავშირებზედ და საერთოდ ძალთა განწყობილებაზედ, რითაც ხელმძღვანელობენ დიპლომატები მოლაპარაკების დროს და რაც ჩვენამდეს ან სულ არ აღწევს ან თუ აღწევს ისეთი სახით, რომ მაზედ შეუძლებელია დასკვნა დავამყაროთ.

მაგრამ რა შედეგიც უნდა მოჰყვეს დღევანდელ გამწვავებულ მდგომარეობას, ერთი რამ საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი მაინც დარჩება — ეს, პატარა ერების მიერ თავის საკუთარის მდგომარეობის კარგად შეგნება, და მათ მიერ თავის არსებობისთვის ახალი გზის გამონახვა — შეკავშირებაში. ეს მით უმეტესი რომ, ჩვენის ფიქრით, მხოლოდ ასეთი შეკავშირება და საკუთარ ძალის იმედი იხსნის ბალკანეთის პატარა ერებს როგორც ოსმალეთის თვითნებობისაგან ისე დიდ სახელმწიფოთა გაიძვერა პოლიტიკისაგან.

გარეშე.

# კოოპერაცია და ეკონომიური ცხოვრება.

თანხების მდგომარეობა ქართლ-კახეთის წვრილი კრედიტის ამხანაგობ. 1 აპრილისა-

თუნი 1912 წ.

თბილისი

	საკრედიტო ამხანაგ.	შემნახვ.-გამსესხ. ამხანაგ.
ამხანაგობათა რიცხვი . . . . .	41	9
წევრების რიცხვი.	8931	1278
<b>ძირითადი თანხა</b>		
ნასესხი სახელმწიფო ბანკისაგან (გრძელ ვადიანი) სხვებისაგან . . . . .	<b>50.950 მ. 1000</b>	<b>4000 მ.</b>
<b>მოკლე ვადიანი სესხი.</b>		
სახელმწიფო ბანკიდან გამოტანილი . . . . .	<b>96358 მ. 30 კ.</b>	<b>19000</b>
პაიების თანხა . . . . .	—	12771 მ. 30 კ.
საკუთარი თანხა . . . . .	1995 მ. 80 კ.	758 „ 02 „
სათადარიგო თანხა . . . . .	1028 „ 47 „	325 „ 94 „
განსაკუთრებული თანხა . . . . .	5646 „ 66 „	290 „ 66 „
შესანახად შემოტანილი თანხა . . . . .	24821 „ 64 „	19269 „ 54 „
მოგება და სარგებელი . . . . .	6985 „ 87 „	2052 „ 83 „
ხარჯი და ზარალი . . . . .	3262 „	1446 „ 16 „
<b>ბალანსი . . . . .</b>	<b>188891 „ 90 „</b>	<b>59186 „ 95 „</b>
წევრების კრედიტი . . . . .	701605 „	145960
გაცემული სესხად . . . . .	175124 მ. 68 კ.	54307 მ. 43 კ.

ამ ცხრილიდან ნათლად სჩანს რომ ქართლ-კახეთის საკრედიტო ამხანაგობანი განსაკუთრებით სახელმწიფო ბანკის დახმარებით არსებობენ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამხანაგობანი 13 წლის განმავლობაში, რომელ ხანაშიაც უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბანკს ვალი, დამოკიდებულნი იქნებიან მისგან და მხოლოდ ამის შემდეგ განთავისუფლდებიან და დამოუკიდებლად საქმის წარმოება შეეძლებათ.

უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, რომელთაც აქვთ თავისი საკუთარი, — წევრების პაიებიდან შემდგარი, თანხა—12771 მან. 30 კ. და რომელიც სამჯერ აღემატება სახელმწიფო ბანკისაგან ნასესხებ ძირითად თანხას—4000 მ. სხვა თანხები ჯერ ჯერობით სუსტად გამოიყურებიან (ხაკუთარი, სათადარიგო და განსაკუთრებული თანხები); რადგან არც საოპერაციო თანხები (გრძელ და მოკლე ვადიანი) აქვთ სამყოფი და მასთან ერთად არც ამხანაგობათა ოპერაციები დამდგარან ჯერ-ჯერობით დონეზედ.

ჩვენი საკრედიტო კოოპერაციის წინსვლის იმედს გვინერგავს წევრების მიერ შესანახად შემოტანილი თანხა, რომელიც ეხლავე უდრის საკრედიტო ამხანაგ.—24821 მ. 64 კ., შემნახვ.-გამსესხ. ამხანაგობაში—19269 მ. 54 კ. ამ თანხის ზრდა-განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკრედიტო კოოპერაციისათვის. ამ თანხის საშუალებით ამხანაგობანი გააფართოვებენ თავის მუშაობას, განითავისუფლებენ თავს ყოველნაირ დამოკიდებულებისაგან, შეუნახავენ წევრებს ყოველგროშს და საერთოდ ამით შეაჩვევენ ჩვენს გლეხობას თავის ოფლით ნაშოვნის ფულის პატრონობას და ზრდა-გამოყენებას.

ხარჯი, შედარებით მოგებასთან, დიდი არის, მაგრამ როცა თანხები გაიზრდება და ოპერაციები განვითარდება ხარჯი და ზარალი მალე ჩამორჩება მოგებას და აღარ დააწვება კისერზედ, როგორც ეხლა.

დ. ვაჩნაძე,



### ტყისა და საძოვრების სერვიტუტების ლიკვიდაცია.

კარგა ხანია კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შეიმუშავა კანონი დროებით ვალდებულ გლეხთა მიერ ნადელების იძულებით დახსნისა. ეს კანონი უკვე მოიწონა სახელმწიფო სათათბირომ და გადასცა განსახილველად სახელმწიფო საბჭოს, რომელიც უეჭველია, ამ ზამთარს განიხილავს, ან მომავალ გაზაფხულის პირზე.

მომავალი კანონი შეეხება მხოლოდ სახნავ მიწის იძულებით დახსნას და შესყიდვას. საძოვარი და ტყის ხმარება კი ისევ გაურკვეველი დარჩა და სწარმოებს დღემდე იმ სახით, როგორც „უსტავნი გრამოტებშია“ ნაჩვენები.

დღეს მთავრობა ამ საგნის განორკვევასაც შეუდგა. თბ. საგლეხო საკრებულოში გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყება ამ თვის გასულს თათბირი, თუ როგორ მოწყვრიდეს ეს საქმე და რანაირი კანონი შემუშავდეს ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობისა.

როგორც ნევიტყეთ, გუბერნატორი იწვევს თათბირში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივ მოღვაწეთაც, რომელთაც ძიეცქმათ მხოლოდ მრჩეველი ხმა.

სწორედ სასურველია, რომ მალე ბოლო მოელოს ადამის ეამის წესსა და რიგს საძოვრებით და ტყით სარგებლობისას. დახავსებული წესი ხელფებს უკრავს და სულს უხუთავს ორივე მხარეს — მამულის პატრონსაც და გლეხსაც.

—ი.

ჩვენი პროვინცია იღვიძებს:

— ქ. სიღნაღში გამოვიდა მეორე ნომერი გაზ. „ხმა კახეთისა“. ძეთაური გაზეთისა გვაუწყებს, რომ „ხმა კახეთის“ ხელმძღვანელები გონიერ გზას დაედგნენ და სიტყვის დამთავრების შემდეგ საქმესაც შეუდგნენ. სხვათა შორის მეთაური იკვლევს იმ მიზეზებს, რომელნიც კახეთის ეკონომიურ აღორძინებას ელობებიან წინ და ამბობს.

„ამის მიზეზები ბევრია: ჩვენ გვაკლია საზოგადო განათლება, შემდეგ ნსუციალური სამეურნეო ცოდნა, რომ უკეთესად მოვაშადათ ჩვენი მრეშის ნაწარმები, არა გვავს განვითარებული ვაჭრები და მკუწველები და ვეველაზე მეტად კიდევ ხელს გვიშლის იაფ-ფასიან კრედიტის (სესხის) უქონლობა“.

რა „მეწვრილმანები“ და „აპოლიტიკოსები“ არიან „ხმა კახეთის“ პუბლიცისტები! — იტყვის „სახალხო გაზეთი“, მაგრამ საბედნიეროდ ამ „მეწვრილმანებმა“ მომავლისათვის შეადგინეს არჩიეს ცარიელ ლაპარაკსა და მოაწვეს ერბი, მეწვრილმანი: საქმე: დააარსეს საურთი-ერთო ნდობის ბანკი ქ. სიღნაღში. გაზ. „ხმა კახეთის“ მოყვანილ ცნობებით ბანკის სამი თვის მუშაობა საყურადღებო ანგარიშით დამთავრდა.

შ ე მ თ ს ა გ ა ჯ ი

საწევრო ფული 18,590 მ.  
შესან. შემოუტ. 17,771 მ. 60  
სს.დასხ შემოს. 2,921 მ. 40 კ  
სარ. აუღიათ 1,854 მ. 93 კ.

გ ა ს ა გ ა ჯ ი

გაუსესხებიათ . 34,426 მან.  
ხარჯი ჰქონიათ 1,756 მ. 79 კ.  
ფულად შე-  
ნახული ჰქო-  
ნიათ კასაში და  
ხაზინაში 4,961 მ. 14 კ.

სულ 41,137 მ. 93 კ.

სულ 41,137 მ. 93 კ.

სამი თვის განმავლობაში სესხით უსარგებლბია 270 კაცს.

კარგი ნაყოფი მოჰყვა ბანკის მოკლე ხნის მუშაობას. ფრთხილად და ყურადღებით უნდა მოუარონ ხელმძღვანელებმა ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას, რომელიც შესაძლოა ახლო მომავალში გადაიქცეს დიად საქმედ. გზა გამარჯვებისა!

— ქ. სიღნაღმა ხომ გამოიყვანა კიდევ თავისთვის წყალსადენი ეხლა, როგორც გაზ. „ქართლი“ გვატყობინებთ ამასვე აპირებს გორი, რისთვისაც მოუწვევია ბაქოდან ფრანგი ინჟინერი.

### სამწუხარო ამბავი.

აგრონომი გიორ. საყვარელიძე ატყობინებს ქ. ს.-სამეურნეო საზოგადოებას, რომ თელავის ახლო ერთ სომეხ-სირაჯის ვენახში აღმოჩნდა ფილოქსერა, რომელიც გამოკვლევით 5—ს წელიწადია რაც ამ ზვარში ბუდობს. ვახის ნამყენები ქართლიდამ მოუტანია.

დაუძინებელმა მტერმა კახეთისამ — ფილოქსერამ კიდევ ამოჰყო თავი კახეთის ვენახებში...

ქ. ს.-სამეურნეო საზოგადოება დაუყოვნებლივ მუშაობას უნდა შეუდგეს. გამოიკვლიოს საცდელი მეთოდებით რაც შეიძლება მალე ამერიკულ ვახის ნამყენის თვისებები კახეთის ჰავა ნიადაგის მიხედვით და ენერგიულად გაავრცელოს ეს გამოცდილი ამერიკული ნამყენები კახეთის მევენახეთა შო-

რის, თორემ ასეთი ჭირი სულ მოსპობს კახეთის ღვინის მიწურნობას.

კავკასიაში ბაშის მოუგანა უფუფილი იზრდება. ამ 25 წლის წინად კავკასია იძლეოდა არა უმეტეს 150.000 ფუთისას, შარშან კი (თუმცა მისაგადი ცუდი იყო) — 5 მილიონი ფუთი კერკიანი, ან 1 1/2 მილ. უკერკო ბაშა დადგა. ღირებულები არა ნაკლებ 16.000,000 მან. ბაშის შემოსავალი ერთი თრად შეტია ზურის, ბრინჯის, იონჯის და სხ. მცენარ. შემოსავალზედ. ჩვენ დარბი შეუჩინეს ეს დარგი დიდს შეღავათს მოუტანს. ადაზნის და იარის ხეობაში კარგად ხარობს თუჩმე და სს-ჭირთა მცოდნეთაგან ინიციატიუვა. („სახ. გაზ.“)

**რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი სათათბირო.**

ბეტერბურგში შემაბს კრგდ წოდებული წინსწარი სათათბირო საეკლესიო კრებისა. სათათბიროს დავალებული აქვს მოამზადოს მისადა მომავალ საეკლესიო კრებისათვის.

სხვათა შორის, ამ კრებამ უნდა განიხილოს, თანახმად უმადესის ბრძანებისა — ადგენილ იქმნას, თუ არა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია.

ჭერ-ჭერობით ცნობა არა გაქვს, იქონია თუ არა მსჯელობა სათათბიროში ამ ფრად დიდმნიშვნელოვან საგანზე. დეპუტამ კი გვაუწყა, რომ სათათბიროს დაუდგინია — სოხუმის ეპარქიის გამაჭუოს საქართველოს საეკლესიო ხოსთდან და ცალკე დამოუკიდებულ ეპარქიად აღიაროს.

დღევანდელი სოხუმის ეპარქიის განუერგალი ნაწილის ივერიის ეკლესიისა და მისი ხამოშორება კწინაადმდეგება ეკლესიის კანონთა და მსოფლიო კრებათა დადგენილებათა.

დანამდგალებითა ვერ ვიტყვით, რა თვალთ შეხედავს მომავალი საეკლესიო კრება ივერიის ეკლესიის კანონთა და მსოფლიო კრებათა დადგენილებათა წინაადმდეგს განზრახვას.

მთელი მარწმუნე და მართლ მადიდებელი რუსეთი სასოებით უყურებს მომავალ საეკლესიო კრებას. იმედი აქვს, რომ იგი განახლების გზაზე დააყენებს საეკლესიო საქმეს, განამტკიცებს შერეულ სარწმუნოებას და გზას მოუჭრის გაძლიერებულ მწვალებლობას. რაკი ასეთი ამედეებითა გამსჭვალული მარწმუნე რუსეთი, უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი საეკლესიო კრება სიკვარულითა და

ქრისტიანული სათნობით მოისმენს დაბრუნებულ ივერიის ეკლესიის საქმესაც და ახალს იარებით ადარ დაწყდულებს მას.

საქართველოს ეკლესიის მთავრობის დადგენილება

—ლი.

**ჯვარობა.**

ოცს ენკენისთვის წმ. ესტატის ეკლესიის დღეობა არის სოფელ ერთაწმინდაში.

ერთაწმინდა! რა მშვენიერი სიტყვაა, რა დიდ მნიშვნელოვანი აზრი! ერთა წმინდაა ეს ადგილი და არა მარტო ქართველი ერის სამლოცველო. და მართლაც აუარებელი ხალხი იკრიბება ამ ეკლესიისთან. განურჩევლად ეროვნობისა და სარწმუნოებისა.

დიდი სასოება და რწმენა უნდა ჰქონდეს კაცს, რომ გაბედოს და შეუდგეს იმ უშველებელ გორას, რომლის თავზედაც აშენებულია ერთი იმ ძველის ძველ ძეგლთაგანი, როგორც არის ერთაწმინდის მშვენიერი ეკლესია. ეს ჩვენი ოდესლაც ბრწყინვალე წარსულის და სასოების სახსოვარი. შეუდგეს და ავიდეს იმ საშინელი გზით, რომელიც სოფ. ახალქალაქიდგან დაწყებული ეკლესიის კარამდე მიიგრიხ-მოიგრიხება, აღის და ჩადის თვალუწვდენელ ხევ ხუვებში და დასანახავადაც კი შესაზარავ ფლატეებს წარმოადგენს. საცოდავი სანახავია ამ ულმობელი გზით მიმავალი ურშები დედაკაცებით, ბავშვებით, ტრადიციონულ სამღვთო — თეთრის ცხვრებით და სხვა და სხვა ნუზლით გატენილ ხურჯინებით. გული გიკუმშება და უნებლიეთ თვალს არიდებ ამ თავგანწ რულ მლოცველო, რომელნიც მხოლოდ ლომა კამბეჩების კისრის მოწყალებით არ ინთქებიან უფსკრულებში. და ასეა დაღარული და გავერანებული ეს ერთაწმინდის გზა ყოველთვის და ასე ყოფილა უთუოდ ყოველთვისვე და არც ერთაწმინდელის და არც იმ მრავალ ერთა, რომელნიც დაიარებიან ამ გზით არას დროს არ მოსვლიათ ფიქრად ამ გზის შეკეთება. აღბად ქართველი კაცს წარმოადგენა ისეთი თუა, რომ წმ. ესტატე მხოლოდ საშინელი გზით მიძღვნილ თავგანის ცემას უკეთ მიიძღვნისო. და რომ ნამდვილად ასე ფიქრობს მლოცველი იქიდგანაცა სჩანს, რომ ყველანი დიდად სწუხან, რომ ერთაწმინდას წაართვის

ის ორ ფუთიანი „დადიანი“ \*), რომლითაც „და-  
 ავადებულნი მლოცველნი ამ დადიანით კისერზედ  
 დადებით და ეკლესიის გარშემოვლით საღებო-  
 დნენ ხოლმე“-ო. ერთაწმინდობა მშვენიერ დროს  
 მოდის. შემოდგომის ჰაერი გრილია, ბუნება  
 ისევე ხელშეუხებელი თავისის სიმშვენიერით  
 და ყოველი ქინახული და წლის მოხავალი  
 სახლში შეტანილი. გლეხის გული დამშვიდე-  
 ბულია ყოველის მხრივ და ისიც დიდ გულუხვობას  
 იჩენს სტუმართ მოყვარეობასა და თავის ოჯა-  
 ხის რიგიანად გამოწყობაში. მთელი სამი ოთხი  
 დღე ჯვარობის შემდეგ არამ თუ ერთაწმინდაში,  
 იმის გარშემო ბლომად გაბნეულ სოფლებშიაც  
 შეუწყვეტელი ლხინია. ქორწილები, ნათლობა,  
 წლის წირვები ამ დროსთვის არის ხომლე გადა-  
 დებული და მასპინძელიც და სტუმარიც გატაცე-  
 ბით მხიარულობს.

მოდრობის შემდეგ საზოგადოება და მასთან  
 მწერლობაც უზირად აცხადებდა „ჯვარობების“  
 მოსპობის სურვილს. ზოგიერთმა სოფელმა გაზეთ-  
 ში განცხადებითაც კი განაცხადეს მტრის და მოყ-  
 ვრის საუწყებლად, რომ ისინი ველარ გაუმასპინ-  
 ძლდებიან ჩვეულებრივ სტუმართ და სთხოვენ ყვე-  
 ლას ნუ ინებებენ მათთან მობძანებას.

პირველში თითქო კიდრც შესდგა ხალხი,  
 დღეობებში სიარულს უკლო, მაგრამ ეს მხოლოდ  
 დროებით იყო და მალე ყოველმა ძველმა საეკლესიო  
 დღესასწაულმა თავისი ძველის ძველი ხასია-  
 თი მიიღო და დიდი უსამართლობაც იქნებოდა  
 ეროვნული ხასიათის და ჩვეულების ლალატიც,  
 რომ ეს ერთად ერთი გლეხის აღმფრთოვანებელი  
 და სასიხარულო დროს გასატარებელი მოსპობი-  
 ლიყო.

რა შვილია ის ხალხი, რომელიც არ მხიარუ-  
 ლობს და ათასში ერთხელ მაინც გიჟურის გატაცე-  
 ბით არ ივიწყებს თავის ჩვეულებრივ უფერულს  
 და უბადრუკს მდგომარეობას, თავის ბედშავს, ყო-  
 ველ შევებას მოკლებულ სიცოცხლეს?!

ოჰ, ვისაც არ უნახავს სამზადისი ჯვარობაში  
 წასასვლელად, ვისაც არ უნახავს სამზადისი ჯვა-  
 რობაში მომსვლელთა დასახვედრად, ის თავის-  
 დღეში ვერ მახვდება, თუ რამდენი ბედნიერება

და სიხარულია ამ მზადებაში და ამ სანატრელ  
 მოგზაურობაში.

„ჯვარობა“ ლხენაა და ბედნიერება განსაკუთ-  
 რებით გლეხის დედაკაცისათვის. ეს ერთად ერთი  
 ასპარეზია იმის დაჩაგრულ და კარშეკეტილ ცხოვ-  
 რების ფერ შესაცვლელად. თუ ყმაწვილია, ის ჯვა-  
 რობაში იჩენს თავის სიმშვენიერის და სიკეკლუ-  
 ცის უნარს და იქ პოულობს თავის სატრფოს,  
 მომავალ ცხოვრების მეუღლეს; თუ ოჯახით და-  
 ტვირთულია და საქმიანობით წელმოწყვეტილი,  
 რამდენიმე საათით შვებას და დასვენებას, თუ  
 ხნიანი, ჯვარობაში ის ინახულებს თავის გათხო-  
 ვილ ქალიშვილებს, თავის ნათესავეებს, თავის სამ-  
 შობლო მხარეს და ერთხელ კიდევ გაინავარდებს  
 იმ მიწაწყალზედ, სადაც აღზრდილა, უთამაშნია  
 და ჰყვარებია, სადაც იმისი ვიწრო შეხედულობით,  
 არის ნამდვილი იმის სამშობლო და მაშასადამე სა-  
 ყვარელი და სანატრელი მხარეც.

ბავშვების სიხარულს, მათ აღტაცებას ხომ  
 სამზღვარი არა აქვს და ყველა ეს სიხარული და  
 ბედნიერება უნდა მოისპოს მხოლოდ იმიტომ რომ  
 გლეხს დევზოგება ერთი ორი გროში და იმის  
 ეკონომიურ კეთილ დღეობას შემატებს რასმე?

ამ გზით რომ გვევლო, მაშინ ხომ უნდა მო-  
 სპობილიყო ყოველი გასართობი და დროს გასა-  
 ტარებელი დაწესებულება. რა ფერი ექნებოდა  
 მაშინ ადამიანის ცხოვრებას და რა ფასი იმის სუ-  
 ლიერ სიცოცხლეს?

პური და გართობა განა ერთგვარადვე არ  
 შეადგენს კაცის სიცოცხლის მოთხოვნილებას?

პირ იქით „ჯვარობა“ უნდა გაეაუმჯობესოთ,  
 უკეთესად მოვაწყოთ, ყოველი ეროვნული ვარჯი-  
 შობა და თამაშობა, სახალხო თეატრი და კონცერ-  
 ტები მოვაწყოთ ყველგან, იქ სადაც მრავალი ხალ-  
 ხი იკრიბება და ხალხის გართობას საუკეთესო ფე-  
 რი და აზრი მივცეთ. მისასვლელი გზების შეკეთე-  
 ბის აზრი გავავრცელოთ და თუ შესაძლებელი  
 იქნებოდა თვით იმ ეკლესიის გამშვენიერებისათვი-  
 საც, რომელიც ეხლა დანგრეულნი და გავერანგ-  
 ბულნი არიან, თვით ხალხი ავამუშაოთ.

ეკ. გაბაშვილისა.

\*) „დადიანი“ უშველებელი რკინის ჯაჭვია, რომე-  
 ლიც თითქმის ყველა სამლოცველოებში იყო ხოლმე და  
 რომლითაც გარს ევლიდნენ ავადმყოფნი ეკლესიას.

# ბიბლიოგრაფია

სარგის კაკაბაძე. — თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. — ლექცია, წაკითხული თბილისში 5 თებ. 1912 წ.

სუეთად დაბეჭდილი ჰატარა წიგნაკი შეიცავს სულ 15 კაბადონს. ავტორი სცდილობს გამოარკვეოს უმთავრესი დგაწლი თამარ მეფისა ჩვენს ისტორიაში. ავტორის ფიქრით საქართველოს მეფეთა შეცდინებამ და ხატვრემ, რომ დაუმარკებინათ ძლიერი ერთმეფობა და ცენტრალური მართვა-გამგება, რკალური, კონსტრუქციული სახე და ფორმა მიიღო თამარის დროს. პრინციპითა სეპარატიზმის მსხობას თამარის წინამართნი სცდილობდნენ ეიფხეთა შემწეობით, ხოლო თამარმა ს. შუალეობა შესწავლა და დაუმარა უცხო ტომის არისტოკრატიაზე, სახელდობრ სამეხვრიტოვანი მხარგრძელებზე, რომელთაც უზირველესი თანამდებობანი მიანიჭა სახელმწიფოში.

თამარ მეფე მაინც იძულებული გახდა მიეტოვებინა კათალიკოზის დასაყდრის საქართველოსთვის. თამარ მეფის სიკუდილის შემდეგ, სულ რაღაც 35-40 წელმა გაიარა, რომ ეკლესიურ განყოფის მხევეა მთლიანად განკერძოებაც, ასე რომ თამარის დიდებული საქმე უნაყოფო გამოდგა.

მაგრამ თამარ მეფე მაინც სათუჯანებელს ქართველ ერისათვის, იგი აღმერთებს მას და სწამს, რომ თამარის არ მოშვედარა და განისვენებს ოქროს კუბოში. აიხსნება ასეთი იდეალიზაცია და სიყვარული თამარისა და მისის მეფობისა იმით, „რომ თამარის დრო იყო ის დრო, როდესაც კრძალული სული ერთ სერთა მთელ ტიპურ კლასობებში დგადა და აგრეთ თამარი იყო განხორციელებული უმბლეს ქართველ ტომების სიდიდარობისა“.

ავტორი გაკვრით მიახსენებს, რომ შ. რუსთაველი თამარის დროს არა იტხოვრობდა. ვუაქრობთ, რომ უხერხულია გაკვრით ამის თქმა, როდესაც საკმარისი საბუთი, ამის დამამტკიცებელი, არა მოუყახალი.

ა — ლი.

# ნ ა რ ე ვ ი.

იპონიის სკოლებში დაიარება 90%, ბავშვებისა. 1873 წელს მოსწავლეთა რიცხვი აღემატებოდა 1.180 ათასს. 30

წლის შემდეგ 5 მილიონამდე ავიდა პირველ დაწყებითი სკოლები იპონიაში 29 ათასამდე იქნება, ამით-ში 6500 უმაღლესი ტიპისა, პირველდაწყებით დაბალ ტიპის სკოლაში გადიან შემდეგ საგნებს: სამლოცო სჯულს, სამშობლო ენას, ანგარიშს და გიმნასტიკას; მსურველთ ასწავლიან კიდევ ხატვას, გალობას და ხელოსნობას (ქალებს ხელსაქმეს). უმაღლეს ტიპის სკოლაში კი ასწავლიან ყველა ზევით მოყვანილ საგნებს, იპონიის ისტორიას, გეოგრაფიას და ბუნებისმეტყველობას.

პირველ დაწყებით სკოლაში აბარებენ ბავშვებს 6 წლიდან და რჩებიან 14 წლამდე ყოველი. მშობელი ან აპყუნნი მოვალეა უხათუოდ ატაროს ბავშვები სკოლაში 4 წლის განმავლობაში მაინც.

„პერპეტუუმ მობილე“ ამერიკელთ უკვე განუხორციელებიათ. ნიუ-იორკის კაპიტლისტებმა შემდეგი ცირკულიარი მიიღეს: „ჩვენ განვიზრახეთ ხელი მოვიდოთ კატების გამრავლებას და რიცხვი მათი მოვიყანოთ ერთ მილიონამდის. თითო კატა წელიწადში მოგვცემს თორმეტ კნუტს. მათი ტყავის ღირებულობის მიხედვით წელიწადში თორმეტი მილიონი კატა მოგვცემს 2.000 გირვანქა სტერლინგს. გატყავების ხარჯი რომ გამოვიდეთ, მაინც დღეში 1,000 სტერლინგი მოგება დაგვრჩება.“

მაგრამ კატებსაც ხომ საზრდოობა უნდა! მერე რითი? მათთან ერთად ჩვენ გაგამრავლებთ თავგებს. თავგები კატებზე ოთხჯერ უფრო ჩქარა მრავლდებიან, ისე რომ თითო კატას ოთხი თავგი ჰხვდება, რაც სრულიად საკმარისია.

მაგრამ თავგებს რილათი ვარჩენთ? ეს სულ უბრალოა: გატყავებული კატებით. თითო თავგეს — ერთი კატის მეოთხედი. აშნაირად: კატებს თავგებს ვატყავთ, თავგებს — კატებს, ჩვენ კი მოვავრთავთ კატების ტყავებს და ფულს. თანახმა ხართ ჩვენი განზრახვის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღოთ?“

და მრავალმა ამერიკელმა გადაჭრით უპასუხა: „თანახმა ვართ“.

24 საათის განმავლობაში სახლის აშენება. სიჩქარის პირველობა შენობის აგებაში, უეჭველია, ჩრდილოეთ ამერიკამ დაიმსახურა. შეერთებულ შტატებში ქალაქ ლენდსლოუნში, სენ-ლუის მახლობლად, გასაკვირველ სიჩქარით ააშენეს უშველებელი სახლი მთელი მოწყობილობით წყლისა, გაზისა და ელექტრონისათვის.

შენობის აგებაში 25 მუშა იღებდა მონაწილეობას. სახურავს სამი საათი მოუწოდნენ. ხოლო წყლის, გაზის და ელექტრონის მოწყობას კი ოთხი საათი. სამუშაო ამერიკული სისტემით იყო გაყოფილი და არც ერთი წუთი უბრალოდ არ დაკარგულა. პირველი წერაქვის დაკვირვან 24 საათის შემდეგ პატრონს შეეძლო კიდევ დაბინავებულიყო დამთავრებულ სახლში და სადილის სამზადისს შესდგომოდა ახალი სახლის ახალ სამზარეულოში.



# ჩვენი ფოსტა

აეტი გაწაცხვ: „Шкалапорети, недалеко отъ Зестапони“.  
 მაგისტანა ლექსთა წერას, სჯობს იმ თქვენ „ღობის ძირას“ ნაცარი ქექლთ. „ზესტაფონო მწვიდობით!“

პ. ზეგნელს: იქნება ესკოებით, მაგრამ გვეგონია, რომ მოთხრობას სიგრძის გარდა აზრიც უნდა ჰქონდეს.

ირ. ტ—ძეს: თქვენ თავს პირუტყვს ადარებთ თქვენს ლექსში. რად სხადით ამას, პირუტყვები კი ცოდნის არ არიან?

ქმეგნიერ ასულს ხელში ეჭირა „მწიგნობრობა“—ეწე-რაა: ალ. კირიკიძეს.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

## „კოოპერაცია“

სახალხო საკოოპერაციო და საზოგადო-  
 ეკონომიური ჟურნალი.

ჟურნალი „კოოპერაცია“ დამატებით ღირს წლიურად 3 მ. ნახევარ წლით 1 მ. 75 კ. „შრომის კავშირი“—წლიურად 2 მ. 50 კ. ნახევარ წლით 1 მ. და 50 კ. რედაქცია მოუწოდებს მომხმარებელ, საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს დააკვირონ „შრომის კავშირი“ ხალხში გასაკრედიტებლად. ულის გამოგზავნა შეძლება მერგ. ადრესი: P. Кутаисъ редакциі журналовъ „Кооперация“ и „Шромисъ кавშირი.“

ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, საეკონომიკური-სამეურნეო ს.სოფლო გაზეთი

## „ქ ა რ თ ლ ი“

ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით.

### დ ა მ ა ტ ე ბ ი თ

გაზეთი წლიურად ეღირება	—	—	—	—	5 მ.
„ ნახევარის წლით	—	—	—	—	2 მ. 60 კ.
„ სამი თვით	—	—	—	—	1 მ. 50 კ.
„ ერთი თვით	—	—	—	—	45 კ.

### უ დ ა მ ა ტ ე ბ ი თ

გაზეთი წლიურად ეღირება	—	—	—	—	4 მან.
„ ნახევარის წლით	—	—	—	—	2 მ. 30 კ.
„ სამი თვით	—	—	—	—	1 მ. 20 კ.
„ ერთი თვით	—	—	—	—	55 კ.

ცალკე ნომერი დამატებით ყველგან 5 კაპ. უდამატებოთ 3 კაპ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: პირველ გვერდზე პეტრის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამ-გლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენი შენა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგო-მიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ-დღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე. მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მისაღება მხოლოდ ამ მი-სამართით უნდა გამოიგზავნოს.

## ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როკორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ხელ მკეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწეროთ (რომელთაც პრემია „ვრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისა-თვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ლ ი ს ა მ დ ე .